კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 2,474.2 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	2,474.2	2,360.0	2,383.0	2,429.0
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	1,179.1	1,083.0	1,105.0	1,138.0
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	1,135.2	1,060.0	1,080.0	1,110.0
05 01 01 01	სპორტული ცენტრის ხელშეწყობა	580.0	520.0	525.0	530.0
05 01 01 03	სტადიონის ფუნქციონირება	160.0	165.0	165.0	170.0
05 01 01 04	ქალთა სპორტის განვითარება	150.0	135.0	145.0	155.0
05 01 01 05	საფეხბურთო სკოლის ხელშეწყობა	245.2	240.0	245.0	255.0
05 01 02	სპორტული ღონისძიებები	33.5	23.0	25.0	28.0
05 01 03	კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში	10.4			
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1,283.1	1,265.0	1,265.0	1,276.0
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	1,184.2	1,200.0	1,200.0	1,210.0
05 02 01 01	კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა	860.0	870.0	870.0	880.0
05 02 01 02	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	324.2	330.0	330.0	330.0
05 02 02	კულტურის ღონისძიებები	24.0	25.0	25.0	26.0
05 02 03	კაპიტალური დაბანდებები კულტურის სფეროში	34.9			
05 02 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	40.0	40.0	40.0	40.0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	12.0	12.0	13.0	15.0



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ცენტრის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 01		580,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის მიზანია 5-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებისა და ახალგაზრდების ფიზიკური განვითარებასპორტული ცენტრი აერთიანებს 11 სპორტულ მიმართულებას, ესენია: თავისუფალი ჭიდაობა (28 ბავშვი); ქართული ჭიდაობა (20 ბავშვი); ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (35 ბავშვი); რაგბი (45 ბავშვი); ცურვა (36 ბავშვი); მაგიდის ჩოგბურთი (24 ბავშვი); კარატე (60 ბავშვი); ჭადრაკი (37 ბავშვი); კალათბურთი (40 ბავშვი) და გოგონათა ფეხბურთი (25 ბავშვი) და სპორტული ტანვარჯიში (20 ბავშვი). სულ ცენტრში სპორტის სახეობებს ეუფლება 370 ბავშვი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 5-ჯერ. სპორტულ ცენტრში დასაქმებულია ჯამში 75 ადამიანი, მათ შორის, 30 ტექნიკური და 15 ადმინისტრაციული პერსონალი და 30 მწვრთნელი. ცენტრის აღსაზრდელები პერიოდულად გადაიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში როგორც საქართველოს მასშტაბით ასევე საზღვარგარეთ. ქვეპროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას;</li> <li>- მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეთ ქუჩისათვის;</li> <li>- მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.</li> </ul>		
მოსალოდნელი შედეგი	სპორტის საყოველთაობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ფორმირება; სპორტული ტრადიციების დაცვა, გარღმავება, თაობათა შორის მემკვიდრეობითობითობის უწყვეტობა, სპორტის განვითარება; სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მატერიალური და ტექნიკური ბაზის განმტკიცება, სპორტის ინდუსტრიის განვითარება;		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სტადიონის ფუნქციონირება	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 03		160,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მინიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ლანჩხუთის საფეხბურთო სტადიონის ფუნქციონირების ხარჯების დაფინანსება. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხები სუბსიდიის სახით მიეცემა მუნიციპალიტეტის შპს „ლანჩხუთს“, რომელიც შემდგომ ახორციელებს სტადიონის მოვლა-პატრონობის ღონისძიებებს. სუბსიდიის ხარჯები ხმარდება შპს-ს თანამშრომელთა ხელფასების, სტადიონის კომუნალური ხარჯების ანაზღაურებას, ბიუჯეტთან ანგარიშწორებას(ქონების გადასახადი) და სტადიონის ფუნქციონირებისათვის სხვა აუცილებელ ხარჯების დაფინანსებას. ქვეპროგრამის მიზანია წლის ნებისმიერ პერიოდში ლანჩხუთის საფეხბურთო სტადიონის მზადყოფნის უზრუნველყოფა დაგეგმილი მატჩებისათვის</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალური საფეხბურთო სტადიონი შეუფერხებლად მასპინძლობს წლის განმავლობაში გამართულ ყველა სპორტულ ღონისძიებას		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ქალთა სპორტის განვითარება	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 04		150,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური		
	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ლანჩხუთის ქალთა საფეხბურთო კლუბის „ლანჩხუთის		



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ლანჩუთი“-ს დაფინანსება. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხები სუბსიდიის სახით მიეცემა მუნიციპალიტეტის შპს „ლანჩუთის ლანჩუთს“, საიდანაც ხორციელდება კლუბის ხარჯების დაფინანსება. სუბსიდიის ხარჯები ხმარდება ფეხბურთელებისა და მწვრთნელების ხელფასებს, შეკრებებს და სამწვრთნელო პროცესს, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობისთვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებას და შპს-ს ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასს. პროგრამის მიზანია ქალთა საფერხურთო გუნდის წარმატებული ასპარეზობა ეროვნულ და შემდგომ საერთაშორისო ასპარეზზე
მოსალოდნელი შედეგი	ეროვნულ ჩემპიონატში საპრიზო ადგილის დაკავება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საფეხბურთო სკოლის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 05		245,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სპორტულ სკოლაში ფუნქციონირებს ფეხბურთის 6 ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებულია და ვარჯიშობს 180 ბავშვი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 3-4 ჯერ. სკოლაში დასაქმებულია ჯამში 42 ადამიანი, მათ შორის 35 ტექნიკური და 7 ადმინისტრაციული პერსონალი და 18 მწვრთნელი. სკოლის აღსაზრდელები მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში საქართველოს მასშტაბით. ქვეპროგრამის მიზანია: - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეთ ქუჩისათვის; - მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.		
მოსალოდნელი შედეგი	სპორტული სკოლა მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; ყველა მსურველი დაკმაყოფილებულია სკოლის მომსახურებით; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხელმისაწვდომია ფეხბურთის ჯგუფებით სარგებლობა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარებში
	05 01 02		33,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება:</p> <p>ლანჩუთის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება ფასიანი საჩუქრებით;</p> <p>ოლიმპიადის, მსოფლიოს, ევროპის და საქართველოს ოფიციალური ჩემპიონატების საპრიზო (I,II,III) ადგილებზე გასული, ლანჩუთის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე სპორტსმენებისა და მწვრთნელების წახალისება ფულადი ჯილდოთი;</p> <p>ღვაწლმოსილი ვეტერანი სპორტსმენების (წარსულში ლანჩუთის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე წარმატებული ვეტერანი სპორტსმენი) დაჯილდოება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით;</p> <p>სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირებაში დახმარება;</p> <p>სასკოლო სპორტული ოლიმპიადისა და სპორტი ბარიერების გარეშე-ღონისძიებების ორგანიზება.</p> <p>პროგრამის მიზანია:</p>		



	ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; ყველა ასაკობრივი ჯგუფების ჩართვა მასობრივ სპორტის სახეობებში; წარმატებული ახალგაზრდა და ვეტერანი სპორტსმენების დაჯილდოება, მათი მოტივაციის ამაღლება.
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის 16 ადმინისტრაციულ ერთეულში ჩატარდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, მათ შორის: სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, სპორტი ბარიერის გარეშე, ევროპის სპორტის კვირეული, მასტერლიგა 2021, ღრმადელობა, ჩიბათობა, ლელო და სხვა; ფულადი და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოებულია ახალგაზრდა წარმატებული და ღვაწლმოსილი ვეტერანი სპორტსმენები.  მოსახლეობის სხვადასხვა ასაკობრივი და მოწყვლადი ჯგუფების მასობრივი სპორტის სახეობებში ჩართულობა და დაინტერესება გაზრდილია.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში	დაფინანსება ათას ლარებში
	05 01 03		10.4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ არის სპორტის ობიექტები, რომელთა ინფრასტრუქტურას არ ჩატარებია კაპიტალური რემონტი, ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქ.ლანჩხუთში გორგასლის ქუჩის მიმდებარედ მინი სტადიონის მოწყობის სამუშაოები, რომელიც დაიწყო 2020 წელს და დასრულდება 2021 წელს		
მოსალოდნელი შედეგი	მოწესრიგებული სტადიონით ისარგებლებს მოსახლეობა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 01		860,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 4 კულტურის სახლი, 5 მუნიციპალური მუზეუმი, 18 ბიბლიოთეკა და ე. ნინოშვილის სახელობის სახალხო თეატრი.		
	კულტურის სახლებში გაერთიანებულია სხვადასხვა მიმართულებები, ქორეოგრაფიული წრეები, ფოლკლორული ანსამბლები, ბავშვთა საესტრადო წრეები. ამ წრეების სწავლების პროგრამებში მონაწილეობს 400 აღსაზრდელი, ფოლკლორული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებში ჩართულია 100-მდე მონაწილე. დაფინანსება 315,8 ათასი ლარი.		
	მუნიციპალურ მუზეუმებში დღეის მდგომარეობით განთავსებულია 19000 ექსპონატი. წლის განმავლობაში ვიზიტორთა რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 2000-ს. დაფინანსება 138,3 ათასი ლარი.		
	მუნიციპალიტეტის 18 ბიბლიოთეკაში წიგნის ფონდი შეადგენს 112000 ერთეულს. ბიბლიოთეკების მომსახურებით სარგებლობს მუნიციპალიტეტის დაახლოებით 2000 მოსახლე. დაფინანსება 110,6 ათასი ლარი.		
მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ე. ნინოშვილის სახელობის სახალხო თეატრი და მასთან არსებული თოჯინების თეატრი. 2018 წელს თეატრში გაიმართა 1 დრამატული სპექტაკლის პრემიერა, აღდგა და განახლდა წინა წლებში დადგმული 3 სპექტაკლი. თოჯინების თეატრში დაიდგა 2 ახალი წარმოდგენა, თოჯინების თეატრი ასევე ახორციელებს გასვლით წარმოდგენებს. დაფინანსება 96,1 ათასი ლარი.			



	მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია: მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა
მოსალოდნელი შედეგი	კულტურის ცენტრის ფუნქციონირების ხელშეწყობა. სანახაობრივი მაღალი ხარისხის კულტურული ღონისძიებების ჩატარება; მოსახლეობის ჩართულობის გაზრდა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 02		324,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანება		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი დაწყებითი სამუსიკო განათლების 2 და დაწყებითი სამხატვრო განათლების 1 სკოლა.		
	სამუსიკო სკოლებში გაერთიანებულია საფორტეპიანო, თეორიული, ვიოლინოს, ხალხური საკრავების, კლასიკური გიტარის და სხვა მიმართულებები. სამუსიკო სკოლებში დაწყებით სამუსიკო განათლებას იღებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 319 ბავშვი. სკოლებში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს (ადმინისტრაციული პერსონალი და პედაგოგები) 39 თანამშრომელს.		
	სამხატვრო სკოლაში ბავშვები ეუფლებიან ფერწერას, ხატვას, კომპოზიციას, ქანდაკებას, გობელენს, ვიტრაჟს და ხატწერას. სამხატვრო სკოლაში დაწყებით სამხატვრო განათლებას იღებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 150 ბავშვი. სკოლაში სულ დასაქმებულია 18 თანამშრომელი, მათ შორის, 15 პედაგოგი.		
	პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების მიმდინარე ხარჯები (ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასი) .		
	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია: შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; სიმღერის, ფოლკლორის, სხვადასხვა ინსტრუმენტებზე შემსწავლელი წრეები ჩამოყალიბება; კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე; საქველმოქმედო ღონისძიებების მოწყობა; მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, ფორუმებში როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლები და სამხატვრო სკოლა წლის განმავლობაში ფუნქციონირებენ შეუფერხებლად. სრულად არის დაკმაყოფილებული სამხატვრო და სამუსიკო დაწყებით განათლებაზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა. სკოლების აღსაზრდელები მონაწილეობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებებში, ასევე ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ კონკურსებსა და ფესტივალებში		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 02		24,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
	პროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სადღესასწაულო დღეებზე ღონისძიებების, ფესტივალების, ფორუმების, საქველმოქმედო აქციების, ლიტერატურულ-შემოქმედებითი საღამოების ორგანიზებას;		



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>კულტურული პროექტების თანადაფინანსებას;</p> <p>კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, წარმატებული შემოქმედებითი ჯგუფების და ახალგაზრდების წახალისებას;</p> <p>კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და შენარჩუნებას;</p> <p>კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას.</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>პროგრამის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ზრდა, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა;</p> <p>კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, პატივისცემა და განვითარება;</p> <p>პროგრამის განხორციელების შედეგად მოხდება კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების შემოქმედების წარმოჩენა, შედეგად გაიზრდება შემოქმედებით სფეროში მოღვაწე ადამიანების მოტივაცია.</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კაპიტალური დაბანდებები კულტურის სფეროში	დაფინანსება ათას ლარებში
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	05 02 03		34.9
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის გამარჯვებული ობიექტის დაფინანსება-სოფელ აკეთში კულტურულ მემკვიდრეობითი სახლ-მუზეუმის მოწყობა	
მოსალოდნელი შედეგი		კეთილმოწყობილი კულტურულ მემკვიდრეობითი სახლ-მუზეუმი	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარებში
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	05 03		12,0
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		<p>პროგრამის ფარგლებში შესაძლებელი გახდება მუნიციპალური ახალგაზრდული საქმიანობის ხელშეწყობა და განვითარება. განხორციელდება და დაფინანსდება სხვადასხვა მიმართულების ახალგაზრდული პროექტები და ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული საქმიანობის განვითარებას, ახალგაზრდების გააქტიურებას და მათი ჩართულობის ზრდას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, გაზრდის ახალგაზრდებისთვის არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობას.</p> <p>ასევე, პროგრამის ფარგლებში შესაძლებელი იქნება ფიზიკური და იურიდიული პირების მომართვის საფუძველზე ისეთი პროექტების თანადაფინანსება და სამსახურის მიერ ორგანიზებული ღონისძიებების დაფინანსება, რომლებიც ხელს შეუწყობს შშმ ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაციას.</p> <p>პროგრამის მიზანია: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტების ფინანსური მხარდაჭერა, თავისუფალი დროის ეფექტურად და შინაარსიანად ხარჯვის ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის ინტელექტუალური, ფიზიკური და სულიერი პოტენციალის გამოვლენა, ინოვაციური იდეების მქონე საინიციატივო</p>	





	ჯგუფების ხელშეწყობა. შშმ ახალგაზრდებისთვის ცნობიერების ამაღლება, მათი ჩართულობის გაზრდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტულ აქტივობებში მონაწილეობა.
მოსალოდნელი შედეგი	შშმ პირების საზოგადოებაში ჩართვის ხელშეწყობა; მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი პროექტების დაფინანსება, მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელება და ხელშეწყობა.

**მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 828,1 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	828.1	850.1	876.1	905.1
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	149.1	147.0	148.0	150.0
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	147.0	147	148	150
06 01 02	ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია	2.1			
06 02	სოციალური დაცვა	679.0	703.1	728.1	755.1
06 02 01	ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების ხარჯი	38.8	39.8	39.8	39.8
06 02 02	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა	42.0	45	46	48
06 02 03	სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა	92.0	100	110	115
06 02 04	ცენტრ „ იავნანას" თანადაფინანსების პროგრამა"	13.0	13	13	13
06 02 05	მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურების პროგრამა	14.6	15	15	15
06 02 06	მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფა	115.0	130	130	135
06 02 07	იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა	15.3	16	17	18
06 02 08	ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა	56.6	58	58	58
06 02 09	მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა	67.0	70	70	70



06 02 10	„გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამა	42.2	40	40	42
06 02 11	100 და მეტი წლის ხანდაზმულ პირთა დახმარების პროგრამა	3.0	3	3	3
06 02 12	მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა	25.0	50	55	58
06 02 13	უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა	2.5	2.5	2.5	2.5
06 02 14	ერთჯერადი სოციალური დახმარების პროგრამა	10.0	20	21	22
06 02 15	მედიკამენტის შეძენაზე დახმარების პროგრამა	15.0	15	15	15
06 02 16	შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა	14.0	9.8	9.8	9.8
06 02 17	ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსაგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა	25.0	30	32	35
06 02 18	გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა	3.0	4	5	6
06 02 19	სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დახმარების პროგრამა	6.0	7	8	9
06 02 20	მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია- ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა	2.0	3	4	5
06 02 21	0-დან 18 წლამდე დედამით ობოლ ბავშვების და შშმ ბავშვების , რომელიც არის ობოლი ერთჯერადი სოციალური (ფულადი ) დახმარების პროგრამა	2.0	3	4	5
06 02 22	ცელიაკით დაავადებულთა (18 წლამდე ასაკის) კვებითი დანამატებით უზრუნველყოფის პროგრამა	3.0	4	5	6
06 02 23	აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა	44.0	25	25	25
06 02 24	კოვიდ 19 ით ინფიცირებულთა და მასთან კონტაქტში მყოფ პირთა ტრანსპორტირებით დახმარების პროგრამა	25.0			
06 02 25	კოვიდ 19-ით გარდაცვლილ მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა	3.0			



პროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	დაფინანსება ათას ლარში
	06 01 01		147,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა.ა.ი.პ ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი		
პროგრამის აღწერა	<p>მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.</p> <p>პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამებისაგან:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1 ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა) (მაღარიისა და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი)</li> <li>2 იმუნიზაცია.</li> <li>3 ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა</li> <li>4 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა</li> </ol>		
პროგრამის მიზანი	მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება;		
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება		

პროგრამის დასახელება	კოდი	ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
	06 01 02		2,1
პროგრამის განმახორციელებელი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საექიმო ამბულატორიის ქსელზე მიერთება.		



მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია სოფლის მოსახლეობის ხელშეწყობა , გარემონტებული საექიმო უბნები ხელს შეუწყობს მოსახლეობას შეექმნას უსაფრთხო გარემო,
--------------------	--

პროგრამის დასახელება	კოდი	ბიკარბონატული ჰემოდალიზი-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 01		38,8
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული თირკმლის უკმარისობით დაავადებულთათვის სატრანსპორტო ხარჯის გამოყოფა პროგრამული დიალიზის ჩასატარებლად კვირაში სამჯერ, 2019 წლის მაჩვენებლით პროგრამით სარგებლობდა 24 ბენეფიციარი (144 ლარი თითო ბენეფიციარზე).		
მოსალოდნელი შედეგი	დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარების ხელშეწყობა. ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაცია.		

პროგრამის დასახელება	კოდი	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 02		42
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მრავალშვილიანი ოჯახები რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი, ყოველთვიურად თითოეულ ბავშვზე მიიღებენ 35 ლარს. პროგრამით ისარგებლებს ის ოჯახები რომლებიც არ არიან სოციალური შემწეობის მიმღები. პროგრამის მიზანია მრავალშვილიანი ოჯახების ფინანსური ხელშეწყობა.		
მოსალოდნელი შედეგი	მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. კერძოდ, პროგრამით შესაძლებელი იქნება ყოველწლიურად 28 მრავალშვილიანი ოჯახის ფინანსური დახმარება		

პროგრამის დასახელება	კოდი	სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 03		92
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ბენეფიციარებს, რომელთაც ესაჭიროება ოპერაციული ჩარევა ან ქიმიოთერაპიის კურსის თანდაფინანსება და სადაზღვევოს მიერ არ უნაზღაურდება, ან მკურნალობის თანხა უნაზღაურდება ნაწილობრივ, სამედიცინო დაწესებულების ანგარიშზე ჩაერიცხება წარმოდგენილი ღირებულების 50%, მაგრამ არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა. ასევე შეჭირვებული მოქალაქეების გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სადაზღვევო პროგრამით დაუფინანსებელი თანხის თანადაფინანსება 50%-მაგრამ არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა. პროგრამით ისარგებლებენ 0-დან 150 000-ი სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები. მუნიციპალიტეტის მიერ ასევე განხორციელდება კვლევის დაფინანსება მაგნიტო რეზონანსული		



პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ტომოგრაფიების და კომპიუტერული ტომოგრაფიების თანადაფინანსება-50 %. სამედიცინო დაწესებულების ანგარიშზე ჩაერიცხება წარმოდგენილი ღირებულების 50%, კვლევებით ისარგებლებენ 0-დან 130 000 სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები.</p> <p>შენიშვნა: ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორცაა სასწრაფო (გადაუდებელი) სამედიცინო ოპერაციების, სასწრაფო (გადაუდებელი) ქიმიოთერაპიის თანადაფინანსება, უნადლო ანგარიშსწორებით (ინვოისით წარმოდგენილი ასანაზღაურებელი თანხა არაუმეტეს 400 ლარისა) - რომელიც არ ჯდება მერიის თანადაფინანსების პროგრამაში, მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით შესაძლებელია განხორციელდეს სარეიტინგო ქულის წარმოდგენის გარეშე. ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და საკრებულოს წევრის შუამდგომლობის საფუძველზე.</p> <p>2020 წლის მაჩვენებლით პროგრამით ისარგებლა 347 ბენეფიციარმა.</p>
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ფინანსური ხელშეწყობა. პროგრამა გატვლილია 400 ბენეფიციარზე

პროგრამის დასახელება	კოდი	სარეაბილიტაციო ცენტრ „იავნანას“ თანადაფინანსების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 04		13,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეყანაში შემუშავდა და მუშაობს სიდატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფი ბავშვებისათვის "სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამა". ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ამ მიზნით დაფუძნებულია არასამთავრობო ორგანიზაცია, სარეაბილიტაციო ცენტრი "იავნანა". პროგრამას ერთი მხრივ აფინანსებს ცენტრალური ბიუჯეტი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ვაუჩერული პრინციპით. ცენტრს დამატებით ესაჭიროება კომუნალური და მიმდინარე ხარჯების დაფინანსება. პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული იქნება ელექტრო-ენერჯის, ბუნებრივი აირის და წყლის გადასახადები, დაფინანსდება ცენტრისათვის ყოველთვიურად ჰიგიენისა და ყოველთვიური მოხმარების საგნების ღირებულება. ცენტრში ირიცხება 24 მზრუნველობამოკლებული ბავშვი.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	ყოველწლიურად სოციალურად დაუცველი 24 ბავშვის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობა		

პროგრამის დასახელება	კოდი	მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 05		14.6
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრები მოსწავლეების ტრანსპორტირება სასულიერო გიმნაზიამდე და უკან, ვინაიდან აღნიშნულ ტერიტორიაზე არ ფუნქციონირებს სამგზავრო ტრანსპორტი. აღნიშნული პროგრამით სარგებლობს ერთი სკოლა (სასულიერო გიმნაზია. სულ 44 მოსწავლე).</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლეების ტრანსპორტით ხელშეწყობა. პროგრამა ხელს უწყობს ბავშვების ჯანმრთელობასა და განათლების სრულფასოვნად მიღებას. ყოველწლიურად პროგრამით შესაძლებელი იქნება -44 მოსწავლის დახმარება.		



პროგრამის დასახელება	კოდი	მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 06		115
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქ ლანჩუთის ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებული უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დღეში ერთჯერადად კვება უფასო სასადილოში და მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში ბენეფიციართათვის კვირაში ორჯერ საკვების მიწოდება ოჯახში. სარეიტინგო ქულა 65000 -ის ჩათვლით		
მოსალოდნელი შედეგი	უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკვების ხელმისაწვდომობაზე მდგომარეობის გაუმჯობესება პროგრამით შესაძლებელი იქნება 105 ბენეფიციარის კვებით უზრუნველყოფა		

პროგრამის დასახელება	კოდი	იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 07		15,3
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	დევნილთა ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებული არიან ლანჩუთის მუნიციპალიტეტში, ერთჯერადად მიეცემათ საშუალო მერქნის შესაძენი თანხა 250 (ორასი) ლარის ოდენობით. ლანჩუთის მუნიციპალიტეტში სულ რეგისტრირებულია ასეთი 59 ოჯახი (192 დევნილი).		
მოსალოდნელი შედეგი	დევნილთა ოჯახების ფინანსური დახმარება მერქნული რესურსის შესაძენად		

პროგრამის დასახელება	კოდი	ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 08		56,6
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამით გათვალისწინებულია ლანჩუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარება. გარდაცვლილი ომის მონაწილის ოჯახისათვის დახმარების აღმოჩენა, კერძოდ სარიტუალო მომსახურებისას ფინანსური დახმარება 250 (ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობით. ასევე მე-2 მსოფლიო ომის მონაწილეთათვის ერთჯერადად დახმარების გაწევა 9 მაისთან დაკავშირებით (თითოეულს 500 ლარის ოდენობით დღეის მდგომარეობით არის 3 ბენეფიციარი). საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული მეომრების ოჯახებისათვის 27 სექტემბერს (სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით 11 ბენეფიციარი) 8 აგვისტოს (აგვისტოს ომთან დაკავშირებით, 3 ვეტერანი) ოსეთის კონფლიქტების დროს დაღუპული (ერთი ვეტერანი) 300 ლარით დახმარება (15 ვეტერანი სულ 4 500 ლარი). საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომის შემდგომ გარდაცვლილი ვეტერანების ოჯახების, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში მონაწილე ვეტერანთა, სხვა სახელწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ვეტერანების შეჭირვებული ოჯახების (70 ბენეფიციარი), რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 130 000-ს და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული მეომრების ოჯახების ყოველთვიურად 50 ლარით დახმარება. პირველი და მეორე ჯგუფის შშმ ვეტერანებისათვის ყოველთვიურად 100 ლარით დახმარება (2 ვეტერანი საჭიროებს 2400 ლარს); მე-2 მსოფლიო ომის მონაწილეთათვის ყოველთვიურად 50 ლარით დახმარება (4 ვეტერანი). დედის დღესთან 3 მარტთან დაკავშირებით		



	დალუპული მეომრების დედების დასაჩუქრება 200 ლარით (15 ვეტერანის დედა 3000 ლარი) ომში დაღუპული მეომრების საპატივცემლოდ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში გამართულ ღონისძიებებთან დაკავშირებით საჩუქრის გადაცემა და წლის განმავლობაში დაგეგმილ ღონისძიებებზე ვეტერანთა საფლავების ყვავილებით შესამკობად თაიგულების და გვირგვინების შექმნა (1 000 ლარი). აგვისტოს ომში გორის მუნიციპალიტეტის სოფ. შინდისში გმირულად დაღუპული მეომრების ოჯახის წევრების ტრანსპორტირების ხარჯი 700 ლარი
მოსალოდნელი შედეგი	ვეტერანებისა და მათი ოჯახების თანადგომა. მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. პროგრამით შესაძლებელი იქნება ყოველწლიურად 80 ოჯახის დახმარება.

პროგრამის დასახელება	კოდი	მიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 09		67,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ხანძარისა და მეწყერისაგან დაზარალებული, ასევე საცხოვრებლად უვარგისი სახლების მქონე ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფა. ბენეფიციარებზე ბინის ქირის გადახდა თვეში არაუმეტეს 100 (ასი) ლარისა. ამავე პროგრამის ფარგლებში ძალადობის მსხვერპლ ქალთა დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფა.		
მოსალოდნელი შედეგი	ხანძარისა და მეწყერისაგან დაზარალებული, ასევე საცხოვრებლად უვარგისი სახლების მქონე ოჯახების, ძალადობის მსხვერპლ ქალთა დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფა. მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. პროგრამით შესაძლებელი იქნება 60 ოჯახის დახმარება.		

პროგრამის დასახელება	კოდი	„გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო თანადაფინანსების პროგრამა,	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 10		42,2
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნაადრევ ეტაპზე კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალების მხარდაჭერას მათი შემდგომი რეაბილიტაციის მიზნით. პროგრამა ითვალისწინებს: შეხვედრები გამარჯვებულ ქალთა კლუბის წევრებთან, თემატური საქმიანობა, ფსიქოლოგიური ტრენინგი არტთერაპიის კომპონენტებით (3 ჯგუფი); სამედიცინო კვლევები კლუბის წევრი ქალბატონებისათვის; სარეაბილიტაციო ვარჯიშების ტრენინგი (2 ჯგუფი); პაციენტების ტრანსპორტირება კვლევებზე (თბილისი და ზუგდიდი); საგანმანათლებლო და კულტურული ღონისძიების ორგანიზება; პრესოთერაპიის პროცედურების ჩატარება; რეგიონალური კოორდინატორის მომსახურება; საოფისე საჭიროება (კომუნიკაცია, ინტერნეტი და დასუფთავება); მოწვეული სპეციალისტების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა; პროგრამის საოპერაციო ხარჯი.		
მოსალოდნელი შედეგი	ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალების რეაბილიტაცია და მხარდაჭერა, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება. პროგრამით შესაძლებელი იქნება ყოველწლიურად 44 კლუბის წევრის დახმარება		

პროგრამის დასახელება	კოდი	ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 11		3,0



პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური
პროგრამის აღწერა და მიზანი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 100 და მეტი წლის ასაკს გადაცილებული ხანდაზმულების დახმარება 1000 (ათასი) ლარის ოდენობით. (დაბადების დღეს ან ხანდაზმულთა დღეს 1 ოქტომბერს)
მოსალოდნელი შედეგი	ხანდაზმულთა სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება

პროგრამის დასახელება	კოდი	მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 12		25
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში შერჩეულ ბენეფიციარს დახმარება გაეწევა ავარიულ მდგომარეობაში არსებული და სტიქიით დაზიანებული საცხოვრებელი სახლის მოწესრიგებაში- არაუმეტეს 4 000 ლარისა. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამსახური ახორციელებს მონიტორინგს ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელთან ერთად, სივრცით ტერიტორიული მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის დასკვნის საფუძველზე დგინდება დაზარალებული მოსახლეობის დახმარების აუცილებლობა, რაც მოწმდება ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი საბუთების მეშვეობით. მერის ბრძანებით შექმნილი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე დადგენილი წესის შესაბამისად განისაზღვრება ბენეფიციარზე ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევა. პროგრამით ისარგებლებს 15 ბენეფიციარი		
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამით მოსარგებლე მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.		

პროგრამის დასახელება	კოდი	უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 13		2,5
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურებაზე დახმარება გაიცემა ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მაჯორიტარი დეპუტატის (საკრებულოს წევრის) შუამდგომლობის და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე.  შენიშვნა: ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც გარდაცვლილის ოჯახის სრულწლოვანი წევრები არის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით, მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით შესაძლებელია განხორციელდეს სარიტუალო მომსახურებაზე ფინანსური დახმარების გაცემა ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და საკრებულოს წევრის შუამდგომლობის საფუძველზე		
მოსალოდნელი შედეგი	უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება		





პროგრამის დასახელება		ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა	ათას ლარში
	06 02 14		10
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირებს და მარტოხელა შეჭირვებულ მოხუცებს რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 65001 -ს საშუალო მერქნის შესაძენად გაეწევა ერთჯერადი ფინანსური დახმარება 150 ლარის ოდენობით ; სადღესასწაულო და ღირშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით საკვები პროდუქტებისა და ტკბილეულის შეძენა, სოციალურად დაუცველი უმწეო ოჯახებისათვის, მე-2 მსოფლიო ომის ვეტერანებისათვის და 100 და მეტი წლის ასაკის ხანდაზმულებისათვის		
მოსალოდნელი შედეგი	მარტოხელა მშობელთა და მარტოხელა შეჭირვებულთა ოჯახების თანადგომა		

პროგრამის დასახელება	კოდი	მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 15		15,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ბენეფიციარები დახმარებას მიიღებენ წლის განმავლობაში ერთჯერადად მედიკამენტების შესაძენად კერძოდ: ონკოდაავადებულები და ლეიკემიით დაავადებულები მედიკამენტების შესაძენად დახმარება არაუმეტეს (300 ლარისა), მძიმე კარდიოლოგიური(მიოკარდიუმის ინფაქტი), ნევროლოგიური(იშემიური და ჰემორაგიული ინსულტი ) და რევმატოლოგიური (რევმატოლოგიური ართრიტი, წითელი მგლურა ) დაავადების მქონე ბენეფიციარების მედიკამენტების შეძენაზე დახმარება არაუმეტეს 150 ლარისა, პროგრამით სარგებლობენ ბენეფიციარები, რომელთა ოჯახის სოციალური სარეიტინგო ქულა 65001-დან არ აღემატება 150 000-ს. (ომის ვეტერანები თავისუფლდებიან სარეიტინგო ქულის წარმოდგენისაგან). თანხა ჩაირიცხება შესაბამის სამედიცინო/სააფთიაქო დაწესებულების საბანკო ანგარიშზე წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.		
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების მედიკამენტების შეძენაზე ფინანსური დახმარება პროგრამა გათვლილია 95 ბენეფიციარზე		

პროგრამის დასახელება	კოდი	შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 16		14
